



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
მოდის დიზაინი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
21.01.2023 – 03.02.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
13.02.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან.....	9
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	9
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	19
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა.....	24
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	26
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები.....	31

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაია გრძელიძე სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე სსიპ-თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	მოდის დიზაინი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Fashion Design (major and minor)
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ხელოვნების ბაკალავრი მოდის დიზაინში
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0212
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული #449, 09.12.2011
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ⁴

2011 წლიდან ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდებოდა მულტიდისციპლინური საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება** (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა), რომელიც მოიცავდა სამ მიმართულებას: კომპიუტერული დიზაინი და დაზღუერი გრაფიკა, ინტერიერისა და ექსტერიერის მონუმენტური მოხატვა, კერამიკა და მხატვრული მინის დიზაინი, მოდის, მხატვრული ტექსტილისა და ფეხსაცმლის დიზაინი. 2022 წელს საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის“ უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი. სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა დაიშალა რამდენიმე დამოუკიდებელ პროგრამად, ერთ–ერთი მათგანია „მოდის დიზაინი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“. მოცემული პროგრამის დასახელება შეესაბამება „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის“ დარგობრივ მახასიათებელს, ასევე განახლებული პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს.

პროგრამა - „მოდის დიზაინი“ აგებულია მონათესავე დარგების ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტექსტილის დიზაინის მიმართულებით. მეტი აქცენტი არის გაკეთებული ტანსაცმლის დიზაინზე, განხილულია ფეხსაცმლისა და ტექსტილის დიზაინის საკვანძო საკითხები. ამასთან, დარგობრივ სავალდებულო სასწავლო კურსებთან ერთად სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი კურსების ჯგუფიდან კვალიფიკაციის მიმართულების შესაბამისი დისციპლინების არჩევა, რომლებიც ხელს შეუწყობს კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებას სფეროს მოთხოვნების შესაბამისად.

პროგრამის სასწავლო გეგმა მოიცავს 240 კრედიტს. აქედან: **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი; დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.** სწავლების ხანგრძლივობა 8 სემესტრი.

საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინი“ კურსდამთავრებულს პროგრამის სრული კურსის ათვისების შემდეგ ენიჭება კვალიფიკაცია ხელოვნების ბაკალავრი მოდის დიზაინში (0212), რომელიც სწავლის სფეროების მოქმედ კლასიფიკატორში მოქცეულია მოდის, ინტერიერის და ინდუსტრიული/სამრეწველო დიზაინის ფარგლებში.

მოდის ინდუსტრიისა და, შესაბამისად, მოდის დიზაინის ურთიერთთავსებადი მიმართულებების (ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტექსტილის დიზაინი) წარმოების სფერო ქვეყნის ერთ–ერთი ფართო, მრავალფეროვანი და მაღალრენტაბელური დარგია. ამიტომ, მის განვითარებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, სხვადასხვა ასაკის მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებლის და ეროვნული შემოსავლების მატება. ბოლო ათწლეულში ქვეყანაში აღნიშნული სფეროს მასშტაბები საგრძნობლად გაიზარდა. შესაბამისად, ამ დარგის მზარდი მოთხოვნა მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებზე კიდევ უფრო გაიზარდა. განსაკუთრებით იზრდება მოთხოვნა

⁴ პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მაღალკვალიფიციურ კონსტრუქტორებსა და ტექნოლოგების პოზიციებზე. გამომდინარე აქედან შრომის ბაზარზე დიდია მოთხოვნა სპეციალისტზე არა მარტო პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, არამედ აკადემიური თეორიული ცოდნით. თეორიული ცოდნის მიღების წინაპირობა კი სალექციო და პრაქტიკული მასალის ხვედრითი წილის გონივრულ ბალანსს მოითხოვს. პროგრამა ორიენტირებული უნდა იყოს დღევანდელი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე.

საგანმანათლებლო პროგრამაში შეტანილია სასწავლო კურსები, რომელიც ხელს შეუწყობს შემოქმედებითი-კონსტრუქტორული მიმართულების სპეციალისტების ჩამოყალიბებას. მხოლოდ შედარებით მცირე დოზით არის ტექნოლოგიური მიმართულების საკითხები, რომლის ცოდნა დიზაინერ-კონსტრუქტორისათვის აუცილებელია მასალაში შესრულებადი და ტექნოლოგიური ნორმატივების დაცვით განხორციელებადი ნაწარმის დამზადების პირობიდან გამომდინარე.

პირველადი აკრედიტაციის შემდეგ (აკრედიტებული #449, 09.12.2011) აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ მომზადდა საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა, სადაც აღნიშნულია, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოდის დიზაინი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) მეტწილად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭვირვალეა, შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის "მოდის დიზაინის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის შეფასების მიზნით ექსპერტთა ჯგუფი შეიქმნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 21 იანვრის ბრძანების (MES 4 23 0000056328) თანახმად (აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ).

თვითშეფასების ანგარიშის მონიტორინგის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო ონლაინ შეხვედრა შედგა 2023 წლის 27 იანვარს.

ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში 2022 წლის 29 დეკემბრის №35/8248 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1680410, 30/12/2022) წარმოდგენილი „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. ამ მიზნით დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო კურსების სილაბუსები, პროგრამის დანართები და თვითშეფასების ანგარიში, რომელიც აგებულია „დიზაინის, სამრეწველო დიზაინის, მოდის დიზაინის და ტექსტილის დიზაინის“ დარგობრივ მახასიათებლის შესაბამისად.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა უნივერსიტეტის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, თვითშეფასების ანგარიშზე, პროგრამის კურიკულუმის და სასწავლო კურსების სილაბუსებზე დაყრდნობით იმსჯელა პროგრამის შესახებ, განსაზღვრა ყველა ის აუცილებელი საკითხი, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის დარგობრივ მახასიათებლებთან შესაბამისობის, ასევე დარგის სპეციფიკისა და სპეციალისტის წინაშე წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის, გაანალიზა პროგრამის სასწავლო კურსების შესაბამისობა განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაციასთან, სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლების მეთოდები, სალექციო და პრაქტიკული მუშაობის საათების შესაბამისობა სასწავლო კურსების სპეციფიკასთან და სხვა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი“, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმებისას გაცემული რეკომენდაციების შეფასებითა და არსებული წესის გათვალისწინებით დადგინდა, რომ:

- პირველი სტანდარტის 1.1, 1.2, 1.3, შესაბამისობაშია, 1.4, 1.5 მეტწილ შესაბამისობაშია, შესაბამისად, **პირველი სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- მეორე სტანდარტის ყველა კომპონენტები შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, შესაბამისად, **მეორე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;**
- 4.1., კომპონენტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. შესაბამისად, **მეოთხე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.**

- **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია პრაქტიკა ცალკე სასწავლო კურსად იყოს ჩართული პროგრამაში, სავალდებულო სტატუსით, შესაბამისი თემატიკის გაწერით, რათა სტუდენტს მიეცეს სამივე მიმართულების საწარმოო პროცესის გაცნობის შესაძლებლობა;
- სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები:
 - სასწავლო კურსებში ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 – გაიზარდოს სალექციო საათების რაოდენობა;
 - „*მოდის დიზაინის სავალდებულო და არჩევითი კურსების*“ სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს დარგობრივი სასწავლო რესურსით კურსის შინაარსის შესაბამისად;
 - დაიხვეწოს შინაარსი და ტერმინოლოგია შემდეგ სასწავლო კურსებში: „*ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1. საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი*“, „*ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2. საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი*“, „*ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3. მამაკაცის ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი*“, „*ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4. ქალის ჩექმა და კლასიკური ფეხსაცმელი. ანალიტიკურ სტუდიური კურსი*“.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია მოდის დიზაინის სავალდებულო კურსებისათვის შუალედური შეფასების რაოდენობიდან გამომდინარე შესაბამისი საათების გათვალისწინება სასწავლო კურსების სილაბუსებში;
- სასწავლო კურსისათვის „ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება“ წინაპირობა შესაძლებელია იქნას ამოღებული;
- სასურველია დაკონკრეტდეს კურსების: „უახლესი ტენდენციები ვიზუალურ ხელოვნებაში“ და „შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში“ სტატუსი;
- „მოდის დიზაინის სავალდებულო და არჩევითი კურსების“ სილაბუსებში ერთი მიმართულების საგნების შინაარსის თემატიკა გაიწეროს თანმიმდევრულად, ნაწარმის შექმნის პროცესის თანმიმდევრობის დაცვით – ესკიზის შექმნიდან მზა ნაწარმის გამოყვანამდე.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁵**

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი“, აკრედიტაციის ექსპერტების მიერ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნის პროექტზე სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, კერძოდ, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა) მოდის მიმართულების განხორციელებას დამოუკიდებელი პროგრამის „მოდის დიზაინი (ძირითადი და დამატებითი სპეციალობა)“ სახით 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან არ გეგმავს მიმართულებაზე სტუდენტების არარსებობის გამო.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

⁵ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი“ (შემდგომში - პროგრამა) მიზანი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ითვალისწინებს მოდის დიზაინში ხელოვნების ბაკალავრების მომზადებას შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ცოდნითა და უნარებით, მოდის ინდუსტრიის სფეროს მზარდი მოთხოვნების დაკმაყოფილების და თანამედროვე საზოგადოების კულტურულ-ესთეტიკური განვითარების პროცესში წვლილის შეტანის მზაობით. პროგრამა, შემადგენელი სასწავლო კურსებით შეძლებს უზრუნველყოს სტუდენტისათვის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტექსტილის დიზაინის მიმართულელებით როგორც თეორიული ცოდნის მიცემას, ასევე პრაქტიკული უნარების გამომუშავებას, მომხმარებელთა მზარდი ესთეტიური მოთხოვნების შესაბამისი ვიზუალური და სამომხმარებლო პარამეტრების მქონე პროდუქციის წარმოებისათვის. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ლოგიკურ კავშირშია ერთმანეთთან და მიღწევადია.

პროგრამის მიზანი შეესაბამება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) მისიას, ასევე შესაბამისობაშია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მისიასთან, მიზნებთან, ამოცანებთან და საქმიანობის ძირითად მიმართულებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“;

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით ჩამოყალიბებული პროგრამის სწავლის შედეგები ფოკუსირებულია ძირითადი სწავლის სფეროსთან დაკავშირებულ კომპეტენციებზე. პროგრამაში მოცემულია სწავლის 8 შედეგი. რომლებიც ჩამოყალიბებულია ლოგიკურად და შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერთან.

პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები, სწავლა/სწავლების და შეფასების მეთოდები სტუდენტს განუვითარებს პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელ როგორც

ზოგად, ისე დარგობრივ კომპეტენციებს. პროგრამის შედეგებში აღწერილია ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის ათვისების პერიოდში, ლოგიკურ შესაბამისობაშია პროგრამის მიზანთან, სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და უზრუნველყოფს ცოდნას და გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის შესწავლით.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელი კვალიფიკაციის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ხელოვნების ბაკალავრი მოდის დიზაინში მიენიჭება პროგრამით გათვალისწინებული არანაკლებ 240 კრედიტის (მათ შორის, თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი; დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი) ათვისების შემთხვევაში. პროგრამა ითვალისწინებს სასწავლო პროცესში ჩაშენებულ პრაქტიკას და სადიპლომო ნამუშევარს. სწავლების ხანგრძლივობა – 8 სემესტრი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის დიზაინი“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების ნათლად გაწერილი შეფასების მექანიზმი, რომელიც სტუდენტის ცოდნის ადეკვატური შეფასების საშუალებას იძლევა. არსებული მექანიზმით ვლინდება სტუდენტის მიერ შეძენილი, მოდის დიზაინის სფეროსთვის აუცილებელი, ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. გამოყენებული შეფასების სისტემა საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები სპეციფიკის მიხედვით გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. მაგრამ, მოდის დიზაინის სავალდებულო სასწავლო კურსებში არ არის გათვალისწინებული საათები შუალედური შეფასებისათვის, რომელიც შესაბამისი სასწავლო კურსებისათვის ითვალისწინებს 4-ჯერად შუალედურ და აქტივობის შეფასებას.

სწავლის შედეგებისა და სასწავლო კურსების რუქა ადეკვატურადაა გაწერილი. შედეგები და სამიზნე ნიშნულებიც გაწერილი. მიზნებისა და შედეგების რუქა სრულიად ადეკვატურადაა შედგენილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკები.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია მოდის დიზაინის სავალდებულო კურსებისათვის შუალედური შეფასების რაოდენობიდან გამომდინარე შესაბამისი საათების გათვალისწინება სასწავლო კურსების სილაბუსებში.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“ (შემდგომი - პროგრამა) შედგენილია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საბაკალავრო პროგრამა „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება“ დაშლის შედეგად. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად, ხელოვნებათმცოდნეო დისციპლინების სავალდებულო-არჩევითი კურსების სტატუსი შეიცვალა სავალდებულო სტატუსით, შესაბამისად პროგრამის სტრუქტურაში გაიზარდა სავალდებულო კურსების მოცულობა.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის შედგენილი. მისი სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება განათლების მე-6 დონეს (ბაკალავრიატის საფეხურს). მისი შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს და შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. რაც უზრუნველყოფს

პროგრამის მიზნებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერით.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად. პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით. 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამის კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი (8 სემესტრი) და მოიცავს 240 კრედიტს. სასწავლო წელი მოიცავს 2 სემესტრს, თითოეულის მოცულობა არის - 30 ECTS კრედიტი. ერთი სემესტრი მოიცავს 15 სასწავლო კვირას, სწავლის შედეგების შეფასება იმთავლისწინებს შუალედურ გამოცდებს, აქტივობის შეფასებებსა და დასკვნით გამოცდებს.

პროგრამა მოიცავს სასწავლო კურსებს: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი; ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი, მათ შორის: *საბაზისო სავალდებულო კურსები - 54 კრედიტი; ხელოვნებათმცოდნეობის სავალდებულო კურსები 12 კრედიტი; მოდის დიზაინის სავალდებულო კურსები - 36 კრედიტი; არჩევითი კურსები - 18 კრედიტი*; ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი; დამატებითი პროგრამა/თავისუფალი კომპონენტი - 60 კრედიტი.

სტუდენტმა პროგრამის ფარგლებში დიზაინის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 240 კრედიტი. სწავლების დამასრულებელ ეტაპზე პროგრამა ითვალისწინებს სადიპლომო ნამუშევარს (6 კრედიტი).

პროგრამაში პრაქტიკა გათვალისწინებულია სასწავლო პროცესის პარალელურად, სამივე მიმართულების საწარმოში, რაც დასტურდება პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმებით, მაგრამ სასწავლო გეგმაში პრაქტიკა მითითებულია მხოლოდ სასწავლო კურსთან „ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 5. ეკლექტიკა სამოსში. ანალიტიკურ სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)“. კურსის შინაარსში არ არის გაწერილი პრაქტიკის თემატიკა, რითაც ვერ დასტურდება სამივე ობიექტთან სტუდენტის კავშირი. პრაქტიკის საათების მოცულობა შეადგენს 20 სთ-ს. მისი შეფასების რუბრიკა გაწერილია აქტივობის შეფასების პარალელურად. სრულად კურსის შეფასება მოიცავს 2 საათს, შეფასების საერთო რაოდენობა კი არის 6. პრაქტიკის ბაზებთან გაფორმებული მემორანდუმით ჩანს, რომ თითოეულ ობიექტზე პრაქტიკის ხანგრძლივობა არის 8 საათი, ანუ აღნიშნული 2 საათი პრაქტიკის საერთო დროში არის გათვალისწინებული. გარდა ამისა, პრაქტიკა ჩაშენებულია არჩევით სასწავლო კურსთან, რაც ექვის ქვეშ აყენებს მისი გავლის ალბათობას. დიზაინის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლები კი აუცილებლად მიიჩნევა პროგრამების განხორციელების პროცესში ბიზნეს სექტორისა და შემოქმედებითი ლიდერების აქტიურ ჩართვას, რაც ასევე ნათქვამია „მოდის დიზაინის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლების სწავლის შედეგების უნარების ნაწილში: „კურსდამთავრებული... „დიზაინერულ პროექტზე მუშაობის პროცესში იყენებს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკულ გამოცდილებას“.

გარდა ამისა, არჩევითი სასწავლო კურსის „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4. ქალის ჩექმა და კლასიკური ფეხსაცმელი. ანალიტიკურ სტუდიური კურსი“ მიზანში, ისე როგორც სასწავლო კურსში „ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 5. ეკლექტიკა სამოსში. ანალიტიკურ სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)“ არის ჩანაწერი: „გაცნოს სტუდენტებს მათ მიერ შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული კურსების გამოყენების

შესაძლებლობები საწარმოო პირობებში“, ანუ მოიაზრება პრაქტიკის ობიექტი, მაგრამ სასწავლო კურსის შინაარსით ეს არ დასტურდება.

რაც შეეხება პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრობას, ლოგიკურად არის დალაგებული, დაცულია მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი, სასწავლო კურსებზე დაშვების წინაპირობა ძირითადად ადექვატურია. თუმცა, **ხელოვნებათმცოდნეობის სავალდებულო კურსებს** „უახლესი ტენდენციები ვიზუალურ ხელოვნებაში“ და „შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში“ სტატუსში მითითებული აქვს „სავალდ. - არჩევითი“. სასურველია დაკონკრეტდეს კურსის სტატუსი. ამასთან, სასწავლო კურსი „შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში“ წარმოადგენს სასწავლო კურსის „ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება“-ის წინაპირობას, ამიტომ აუცილებელია დაკონკრეტდეს საწყისი კურსის სტატუსი, რადგან თუ კურსი არჩევითია, ის ვერ იქნება მეორე არჩევითი კურსის წინაპირობა. გარდა ამისა, კურსის „შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში“ წინასწარ არათვისება არ შეუძლის ხელს სასწავლო კურსის „ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება“ შესწავლას და სწავლის შედეგების მიღწევას, ამიტომ არ უნდა განიხილებოდეს დამაბრკოლებელ ფაქტორად და შესაძლებელია იქნას ამოღებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პრაქტიკა ცალკე სასწავლო კურსად იყოს ჩართული პროგრამაში, სავალდებულო სტატუსით, შესაბამისი თემატიკის გაწერით, რათა სტუდენტს მიეცეს სამივე მიმართულების საწარმოო პროცესის გაცნობის შესაძლებლობა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასწავლო კურსისათვის „ფეოდალური ხანის ქართული ხელოვნება“ წინაპირობა შესაძლებელია იქნას ამოღებული;
- სასურველია დაკონკრეტდეს კურსების: „უახლესი ტენდენციები ვიზუალურ ხელოვნებაში“ და „შესავალი ხელოვნებასა და ხელოვნების ისტორიაში“ სტატუსი.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

საბაკალავრო პროგრამის „მოდის დიზაინი“ სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა ძირითადად შესაბამისობაშია და უზრუნველყოფს შესაბამისი კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც წარმოდგენილია კურსების სწავლის შედეგების, სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქებისა და სამიზნე ნიშნულების სახით.

ზოგადი და საბაზისო სავალდებულო სასწავლო კურსები თანმიმდევრულად და ლოგიკურად არის გაწერილი, კურსების შინაარსში დაცულია მარტივიდან რთულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი. რაც შეეხება *მოდის დიზაინის კურსებს*, მათთან მიმართებაში არის გარკვეული საკითხები, რომელიც საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, ტანსაცმელ–ფეხსაცმლის დიზაინის და კონსტრუირების მიმართულების საგანთა თემატიკაში არ არის ერთიანი სქემა, რომლითაც შეიძლება ცალკე გამოყოფილიყო თემათა ძირითადი ჯგუფები. მაგ: ნაკეთობის კომპოზიციის შემუშავება; მასალების კლასიფიკაცია–შერჩევა–დასაბუთება; ნაკეთობათა კლასიფიკაცია; კონსტრუქციის აგების მეთოდები და ტექნიკური მახასიათებლების დაზუსტება; კომპოზიციის შესრულება მასალაში თავისი ყველა ტექნოლოგიური ოპერაციების კლასიფიკაციითა და სხვა საკითხები. მაგ: კალაპოტების კლასიფიკაცია განხილულია მეორე ნაწილში, მაშინ როცა კალაპოტთან მუშაობა იწყება პირველ ნაწილში; მასალებზე საუბარია პირველ ნაწილში, მეორე ნაწილში ისევ განიხილება მასალების შერჩევის პრინციპები და ა.შ. საერთო საკვანძო საკითხების ცალკე სასწავლო კურსად გამოტანა, ან სასწავლო კურსებში საკითხების თანმიმდევრული განხილვა უფრო ოპტიმალურს გახდიდა კურსის შესწავლას. მსგავსი საკითხების, კომპოზიციის/ესკიზის შექმნიდან დაწყებული მასალათმცოდნეობრივ–კონსტრუქტორულ–ტექნიკურ–ტექნოლოგიური ასპექტების სისტემატიზირება ხელს შეუწყობს საკითხების მოწესრიგებული თანმიმდევრობით განხილვას და სწავლების კუთხით უფრო ეფექტური იქნება. ხოლო კონკრეტული მოდელის შესახებ განსაკუთრებული/სპეციფიკური მომენტების განხილვა შეიძლება შესრულდეს განცალკევებულად.

სასწავლო კურსებში: „ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1. ქალის კლასიკური სამოსი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“; „ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2. ქალის სეზონური სამოსი. ანალიტიკურ სტუდიური კურსი“; „ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3. სამოსი ეთნოგრაფიული ელემენტებით. ანალიტიკურ სტუდიური კურსი“;

“ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4. პიჯაკი და ლაზადა. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი”; “ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 5. ეკლექტიკა სამოსში. ანალიტიკურ სტუდიური კურსი (ჩაშენებული პრაქტიკით)” – სალექციო საათები ძალიან მცირეა. მაშინ, როცა ამ მიმართულებით თეორიულად აუცილებლად შესასწავლი მასალა დიდი მოცულობისაა. გამომდინარე აქედან, გადასახედა სასწავლო კურსებში სწავლის მეთოდების საათობრივი მოცულობები. მხოლოდ პრაქტიკული სწავლებით სტუდენტი ვერ შეძლებს საბაკალავრო საფეხურის დარგობრივი მახასიათებლებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

სასწავლო კურსებში: „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1. საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2. საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3. მამაკაცის ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4. ქალის ჩექმა და კლასიკური ფეხსაცმელი. ანალიტიკურ სტუდიური კურსი“ – სრულად გასამართია ტერმინოლოგია და დასახვეწია აკადემიური კუთხით, გამოყენებულია დარგის საწარმოო სექტორში გამოყენებული არაპროფესიონალური, არასწორი ტერმინები და ბარბარიზმები. (მაგ: ძირის ლეკალო, ჩასაჭიმი არე, ნამზადში „ბომბის“ ჩასმა, დაპრესვა, მოდელის დატანა ბაზაზე, ქვეშნადები, დათხელება, წებოზე აწყობა, ფეხის პარამეტრები, „ბერციანი“ ფეხსაცმელი, „შუზი“, პლათფორმა და სხვა. აკადემიურად გასამართია წინადადებები: გვირისტის ტიპები (ზედდება, ამობრუნებული გვირისტი..); კალაპოტზე პარამეტრების აგება; ფორმირების დეტალი და მისი დეკორატიული და ფუნქციონალური დატვირთვა; არსებული ფორმირების დეტალის თარგის გამოყვანის პრაქტიკული დემონსტრირება მისი მოხრის გრადუსის გამოთვლა და ეწ. ლეკალოს შესრულება და სხვა). გაუგებარია რატომ იყენებს სილაბუსის ავტორი Oxford, Derby, Monk, Slipper...–ს, მაშინ როცა ფეხსაცმლის აღნიშნული სახეობების ქართული სახელწოდებები პრაქტიკაში უფრო ცნობილი და დამკვიდრებულია.

სასწავლო კურსებში მითითებულია სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში ადექვატურია სასწავლო კურსის მიზანთან და სწავლის შედეგებთან. მაგრამ არის სასწავლო კურსები, სადაც პროგრამის მიზნიდან და შედეგებიდან გამომდინარე სავალდებულოა რიგი თეორიული საკითხების განხილვა. ამიტომ გადასახედი და დასახვეწია *„მოდის დიზაინის სავალდებულო და არჩევითი კურსების“* სავალდებულო ლიტერატურის ჩამონათვალი. საქართველოს მასშტაბით მოდის, ტანსაცმლის და ფეხსაცმლის კონსტრუირება–ტექნოლოგიის მიმართულებით დარგის ბევრი პროფესიონალი მუშაობს და ქმნის სახელმძღვანელოებს ყველა ზემოთჩამოთვლილი მიმართულებით, რაც იძებნება საუნივერსიტეტო ელექტრონულ ბაზებში. სასწავლო კურსებში, განსაკუთრებით ტანსაცმლის და ფეხსაცმლის მიმართულებით გათვალისწინებული ლიტერატურით (რომელიც ძირითადად კატალოგების სახით არის წარმოდგენილი) სტუდენტი ვერ შეძლებს აითვისოს სილაბუსით გაწერილი ადამიანის სხეულის ბიომექანიკისა და ანთროპომეტრიის, კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის თეორიული საკითხები. რიგ სილაბუსში არსებობს ჩანაწერი „ლექტორის მიერ მომზადებული რიდერი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის დიზაინი“;
- პროგრამის სამიზნე ნიშნულების რუკა;
- პროგრამის მიზნისა და შედეგების რუკა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის დანართი №1 (კომპეტენციების რუკა);
- სასწავლო კურსების სილაბუსები.

რეკომენდაციები:

სასწავლო კურსების სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით რეკომენდებულია გადაიხედოს სასწავლო კურსის სილაბუსები:

- სასწავლო კურსებში ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1, 2, 3, 4, 5 –გაიზარდოს სალექციო საათების რაოდენობა;
- „მოდის დიზაინის სავალდებულო და არჩევითი კურსების“ სავალდებულო ლიტერატურა განახლდეს დარგობრივი სასწავლო რესურსით კურსის შინაარსის შესაბამისად;
- დაიხვეწოს შინაარსი და ტერმინოლოგია შემდეგ სასწავლო კურსებში: „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 1. საფუძვლები. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 2. საგაზაფხულო ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 3. მამაკაცის ფეხსაცმელი. ანალიტიკურ-სტუდიური კურსი“, „ფეხსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება 4. ქალის ჩექმა და კლასიკური ფეხსაცმელი. ანალიტიკურ სტუდიური კურსი“.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია „მოდის დიზაინის სავალდებულო და არჩევითი კურსების“ სილაბუსებში ერთი მიმართულების საგნების შინაარსის თემატიკა გაიწეროს თანმიმდევრულად, ნაწარმის შექმნის პროცესის თანმიმდევრობის დაცვით – ესკიზის შექმნიდან მზა ნაწარმის გამოყვანამდე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	<input type="checkbox"/>	<input checked="" type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>	<input type="checkbox"/>

